

WAYS OF REALIZING POSTMODERNIST PRINCIPLES IN THE DRAMATURGY AND POETRY OF VIKTOR KORKIYA

პოსტმოდერნისტული პრინციპების რეალიზების ხერხები ვიქტორ ქორქიას
დრამატურგიასა და პოეზიაში

Ketino Kakhaberidze

Ph.D. Candidate,

Batumi Shota Rustaveli State University,

Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., No32/35, 6010 Georgia,

+995577140001 qetatodanielovna@gmail.com

<https://orcid.org/0009-0003-0692-0748>

Nana Kajaia

Doctor of Philological Sciences,

Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University,

Batumi, Rustaveli/Ninoshvili st., No32/35, 6010 Georgia,

+995577145424, nana.kajaia@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0002-1102-9039>

Abstract. The work of Viktor Korkiya, a representative of contemporary Russian literature of Georgian origin, constitutes one of the distinctive and intriguing pages of modern literary process. His poetry and plays clearly reveal the style of an experimental creator, stemming from the postmodernist nature of his artistic vision. Korkiya's poetic and dramatic texts are based on a unified aesthetic principle that reflects an organic synthesis of the universal features of postmodern poetics and the writer's individual techniques. Despite generic differences and the diversity of expressive means, a clear stylistic integrity emerges in Korkiya's oeuvre.

The author skillfully employs the fundamental postmodernist principles (intertextuality, carnivalesque, irony, metatextuality) in shaping his own artistic style, which turns his texts into an experimental space where genres, styles, and various literary strategies intersect and intermingle, opening up possibilities for new artistic perspectives. Korkiya's aesthetic strategy is distinguished both by a conscious application of general features characteristic of postmodernist literature and by the originality of his individual interpretation.

In the Georgian academic sphere, Korkiya's works are little known or almost entirely unfamiliar. Moreover, although his literary texts, particularly his dramatic works, enjoy considerable popularity within the Russian cultural space, his oeuvre has not yet received due scholarly attention even in Russian literary studies. This fact, therefore, lends additional significance to the present research.

Keywords: Viktor Korkiya, dramaturgy, poetry, postmodernism, intertextuality, allusion, deconstruction.

ქეთინო კახაბერიძე

დოქტორანტი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. No32/35, 6010, საქართველო

+995577140001, qetatodanielovna@gmail.com

<https://orcid.org/0009-0003-0692-0748>

ნანა ქაჯაია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი,

ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35, 6010, საქართველო,

+995577145424, nana.kajaia@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0002-1102-9039>

აბსტრაქტი. თანამედროვე რუსული ლიტერატურის წარმომადგენლის, ქართული წარმომავლობის მწერლის - ვიქტორ ქორქიას შემოქმედება თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთ საინტერესო და თავისებურ ფურცელს წარმოადგენს. მისი პოეზიასა და პიესებში ნათლად ჩანს ექსპერიმენტატორი შემოქმედის ხელწერა, რაც მისი შემოქმედების პოსტმოდერნისტული ბუნებიდან გამომდინარეობს. ვიქტორ ქორქიას პოეტური და დრამატურგიული ტექსტები ეფუძნება ერთიან ესთეტიკურ პრინციპს, რომელიც გამოხატავს პოსტმოდერნისტული პოეტიკის უნივერსალური ნიშნებისა და ავტორის ინდივიდუალური ხერხების ორგანულ სინთეზს. მიუხედავად ჟანრული განსხვავებებისა და გამოხატვის მრავალფეროვანი საშუალებებისა, ვ. ქორქიას შემოქმედებაში აშკარად იკვეთება სტილისტური მთლიანობა. ავტორი ოსტატურად იყენებს ძირითად პოსტმოდერნისტულ პრინციპებს (ინტერტექსტუალობა, კარნავალიზაცია, ირონია, მეტატექსტუალობა) საკუთარი მხატვრული სტილის ჩამოსაყალიბებლად, რის შედეგადაც მისი ტექსტები იქცევა ექსპერიმენტულ სივრცედ, სადაც ჟანრების, სტილისა და სხვადასხვა ლიტერატურული ხერხების ერთმანეთთან შეხამება და ერთმანეთში არევა ქმნის ახალი მხატვრული ხედვის შესაძლებლობას. ვ. ქორქიას ესთეტიკური სტრატეგია გამოირჩევა როგორც პოსტმოდერნისტული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების გააზრებული გამოყენებით, ასევე ავტორისეული ინტერპრეტაციის ორიგინალურობით.

ქართულ აკადემიურ სივრცეში ვ. ქორქიას შემოქმედებას ნაკლებად ან თითქმის არ იცნობენ. და მიუხედავად იმისა, რომ მისი მხატვრული ტექსტები, განსაკუთრებით კი დრამატურგიული ნაწარმოებები, რუსულ კულტურულ სივრცეში საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს, მისი შემოქმედება მაინც არ არის ჯეროვნად შესწავლილი რუსულ სამეცნიერო სფეროში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მომენტი ჩვენს კვლევას დამატებით მნიშვნელობას სძენს.

საკვანძო სიტყვები: ვიქტორ ქორქია, დრამატურგია, პოეზია, პოსტმოდერნიზმი, ინტერტექსტუალობა, ალუზია, დეკონსტრუქცია.

შესავალი. ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის თემას წარმოადგენს თანამედროვე რუსული ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლის, ქართული წარმომავლობის მწერლის - ვიქტორ ქორქიას შემოქმედების ძირითადი მხატვრული და შინაარსობრივი თავისებურებების ანალიზი.

ვ. ქორქიას შემოქმედება მე-20 საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის რუსული ლიტერატურული პროცესის ერთობ საინტერესო და თავისებურ ფურცელს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებები რუსულ კულტურულ სივრცეში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით კი მისი დრამატურგიული ნაწარმოებები, საქართველოში ვ. ქორქიას შემოქმედებას თითქმის არ იცნობენ. მისი ნაწარმოებები არ არის ქართულად ნათარგმნი და ასევე თითქმის არ მოიპოვება ქართულენოვანი კრიტიკულ-სამეცნიერო ლიტერატურა ვ. ქორქიას შემოქმედების შესახებ (შევნიშნავთ, რომ წინამდებარე სტატიის ერთ-ერთ თანაავტორს აღნიშნულ თემაზე შესრულებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი). აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი ნაშრომი იქნება ერთ-ერთი პირველი მცდელობა ქართულ აუდიტორიას უფრო ახლოს გავაცნოთ ქართული წარმომავლობის ცნობილი მწერლის ვიქტორ ქორქიას შემოქმედება.

XX საუკუნის მიწურულისა და XXI საუკუნის დასაწყისის რუსული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის კვლევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ მიმართულებად რჩება. როგორც ცნობილია, პოსტმოდერნიზმის არსი პირდაპირ კავშირშია „მეტანარატივების“ კრიზისთან (ჟ.-ფ. ლიოტარი), კლასიკური ლიტერატურული კანონის დეკონსტრუქციასთან და ასევე ის ორიენტირებულია ტექსტის ინტერტექსტუალობაზე, ირონიასა და თამაშისეულ ბუნებაზე (ი. ჰასანი, მ. ეშმტეინი). აღნიშნული ტენდენციები რუსულ ლიტერატურულ ტრადიციაში განსაკუთრებულ, ისტორიულ-კულტურულ კონტექსტზე დამყარებულ სპეციფიკურ ფორმებს იძენს.

რუსული პოსტმოდერნიზმი საკმაოდ ფართოდ არის შესწავლილი. თანამედროვე მკვლევრები - ი. სკოროპანოვა, მ. ლიპოვეცკი, მ. ეშმტეინი, ნ. კიაკშო, ტ. დავიდოვა. ი. სუშილინა, მ. ჩერნიაკი და სხვები - თავიანთ ნაშრომებში ანალიზებენ რუსული პოსტმოდერნიზმის ისეთ დამახასიათებელ ნიშნებს, როგორიცაა ჟანრობრივი საზღვრების წაშლა, კანონის პარადიულ-ირონიული ტრანსფორმაცია, ტექსტთან თამაშის ტენდენცია და თეატრალური ექსპერიმენტები. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რუსული პოსტმოდერნიზმის ირგვლივ საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ღირებული სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, ვიქტორ ქორქიას შემოქმედება რუსულ სამეცნიერო წრეებში დღემდე შედარებით ნაკლებად არის გაანალიზებული. სწორედ ამიტომ მოცემულ სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ ვიქტორ ქორქიას დრამატურგიასა და პოეზიაზე, რამეთუ მისი ნაწარმოებები თვალსაჩინოდ ასახავს პოსტმოდერნიზმის ძირითად ტენდენციებს და წარმოაჩენს ამ მიმდინარეობის პრინციპების განხორციელების ორიგინალურ სტრატეგიებს.

ამგვარად, ჩვენი ნაშრომის მიზანია ვიქტორ ქორქიას დრამატურგიულ და პოეტურ ნაწარმოებებში გამოვავლინოთ ზოგიერთი უნივერსალური პოსტმოდერნისტული პრინციპი და გავაანალიზოთ მათი რეალიზაციის კონკრეტული ავტორისეული სტრატეგია და ხერხები.

მეთოდები. ვ. ქორქიას შემოქმედების პრობლემების კვლევას ვვარაუდობთ თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიების კონტექსტში (ნარატოლოგია, რეცეფციული ესთეტიკა, ჰერმენევტიკა და სხვა). ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას კომპლექსური ხასიათი გააჩნია. ის ემყარება ინტერტექსტუალურ, შედარებით-შეპირისპირებით და აღწერით მეთოდებს. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია ვ. ქორქიას ცალკეული ნაწარმოებების მხატვრულ-შინაარსობრივი

თავისებურებებისა და მათი ჟანრული სპეციფიკის გამოსავლენად. აგრეთვე ეს მეთოდები საშუალებას მოგვცემს გამოიკვეთოს ვ. ქორქიას შემოქმედების გენეტიკური სიახლოვე თანამედროვე ლიტერატურული კონტექსტის მიმართ.

შედეგები და მსჯელობა. რუსულ ლიტერატურაში პოსტმოდერნიზმის მიმართულება დასავლეთ-ევროპულთან შედარებით გვიან განვითარდა, რისი მიზეზიც უნდა ვეძიოთ საბჭოური კულტურის მიერ უცხოური ლიტერატურული გამოცდილების უგულებელყოფაში. როგორც ი. სკოროპანოვა აღნიშნავს, რუსული პოსტმოდერნისტული ლიტერატურა ყალიბდებოდა არაოფიციალური ხელოვნების წარმომადგენლების მიერ, ხელისუფალთა მხრიდან მათი დევნისა და ბეჭდვის შესაძლებლობის არარსებობის პირობებში (Скоропанова, 2007: 75). რუსული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ჩასახვას ის უკავშირებს პოსტსტალინისტურ პერიოდში ოპოზიციურად განწყობილი ინტელიგენციის საზოგადოებრივ და სულიერ ძიებებს (Скоропанова, 2007: 74). სწორედ ამიტომაც მკვლევარი პირობითად გამოყოფს რუსული პოსტმოდერნიზმის სამ ეტაპს: 20 საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იან წლებს ის უწოდებს რუსული პოსტმოდერნიზმის ჩასახვის პერიოდს, 70-იანი წლების დასასრული და 80-იანი წლები - ეს არის პერიოდი, როდესაც პოსტმოდერნიზმი ყალიბდება როგორც ლიტერატურული მიმართულება და ბოლოს, 80-იანების დასასრული და 90-იანები - რუსული პოსტმოდერნიზმის ლეგალიზაციის პერიოდი (Скоропанова, 2007: 71). სწორედ მესამე ეტაპი აღმოჩნდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რადგანაც სწორედ 1990-იანი წლებიდან დაიწყო რუსულმა პოსტმოდერნიზმმა თავისი ალტერნატიული ესთეტიკისა და კულტურის მთავარ მეინსტრიმად, ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბება.

პოსტმოდერნიზმის რთული და არაერთგვაროვანი ბუნება დღემდე სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს. პოსტმოდერნიზმი არ ცდილობს ასახოს სინამდვილე, ის ქმნის საკუთარ „მეორე“ რეალობას, რომლის ფუნქციონირებისას საერთოდ გამოირიცხება ყოველგვარი სწორხაზოვნება და დეტერმინიზმი, მასში მოქმედებენ ერთგვარი სიმულაკრები, ასლები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიგინალი. ამიტომაც პოსტმოდერნისტი ერთგვარად დისტანცირდება თავისი ტექსტის სამყაროსაგან. სწორედ ამ თვალსაზრისით პოსტმოდერნისტული პოეტიკის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელად იქცა ინტერტექსტუალობა: «Любой текст строится как мозаика цитаций, любой текст есть продукт впитывания и трансформации какого-нибудь другого текста» (Кристева, 1995: 99). ინტერტექსტუალობა პოსტმოდერნიზმში - ეს არის ესთეტიკურდ შემეცნებადი რეალობის ყოფითი დახასიათება (Давыдова & Сушилина, 2023: 377-378). მ. ჩერნიაკი კი ინტერტექსტუალობის თვისებას იმ მიზეზით ხსნის, რომ პოსტმოდერნიზმი ცდილობს იარსებოს „ლიტერატურის დასასრულის“ პირობებში, როცა უკვე არაფერი ახლის დაწერა აღარ შეიძლება, როცა სიუჟეტი, სიტყვა განწირულია განმეორებისთვის. ამიტომაც პოსტმოდერნიზმის ლიტერატურის დამახასიათებელ თავისებურებად იქცა სწორედ ინტერტექსტუალობა (Черняк, 2010: 22). მკვლევარის აღნიშნული შეხედულება გარკვეულწილად საკამათო შეიძლება ჩავთვალოთ. პოსტმოდერნიზმის ინტერტექსტუალობა, ჩვენი აზრით, არა გამოუვალი მდგომარეობის შედეგია, არამედ სინამდვილისადმი დამოკიდებულების ახალი, უჩვეულო ფორმა.

ინტერტექსტუალობის როგორც პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის არსი მდგომარეობს კლასიკური ლიტერატურის ციტირებაში, ალუზიის ან რიმიკის გამოყენებაში.

ზოგადად, ქორქიას როგორც პოსტმოდერნისტი დრამატურგის თავისებურებას წარმოადგენს ინტერტექსტუალური დიალოგი, სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული კოდების გამოყენება. „ქორქიას როგორც დრამატურგს ახასიათებს ცნობილი სიუჟეტების, სიტუაციების, გმირების გამოყენება. ამას მოწმობს მისი პიესების სათაურები, მათში

გამოტანილი გმირების სახელები და სხვა კულტურული მარკერები“ (Головчинер & Прохоренко, 2012: 303).

ვ. ქორქიას პიესის „შავი ადამიანი, ანუ მე, საწყალი სოსო ჯუღაშვილი“ სტრუქტურაში მრავლად მოიპოვება შექსპირის, პუშკინის, გოგოლის, მაიაკოვსკის, ბულგაკოვის და სხვათა ციტატები. გვხვდება აგრეთვე ბიბლიური გამონათქვამების ციტირებაც. აღნიშნული მასალის კოდირება მწერლის ნაწარმოებებში ხდება ერთგვარი პაროდირებული ფორმით. პერსონაჟებს მკვეთრად გამოხატული ჰიბრიდული სახე გააჩნიათ. თავად ავტორმა ამ პიესას პარატრაგედია უწოდა. პარატრაგედია არის ჟანრი, რომელშიც მოულოდნელი კომიკური ეფექტი ემყარება ამაღლებული ტრაგიკული სტილისა და მდაბიო კომიკური კონტექსტის შერწყმას. ამ ტერმინთან ერთად მის პიესებს ხშირად ფილოსოფიურ კლოუნადასაც უწოდებენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქორქიას მხატვრული სამყარო აგებულია თამაშზე და ირონიულ პაროდირებაზე. პიესა „შავ ადამიანში“ კლასიკის დისკურსი ერწყმის მასობრივი კულტურის დისკურსს, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვაგვარი იმიჯის - პოლიტიკური, ლიტერატურული და ა.შ. - წარმოქმნას. ხდება მათი ირონიულ-პაროდული ტრანსფორმაცია.

ქორქიას აღნიშნულ ნაწარმოებში ლიტერატურული და ისტორიული რემინისცენციების არსებობა ინტერტექსტუალურობის მაჩვენებელია, ანუ „შავ ადამიანში“ ამ რემინისცენციებისა და ციტატების მეშვეობით ხდება წინა ლიტერატურული ნაწარმოებებისა თუ ისტორიული მოვლენების აღიარება.

თავად ვიქტორ ქორქია აღნიშნავდა: "ჩვენ, „პოსტმოდერნისტებს“, ძალიან გვიყვარს ციტატები: ჩვენ მათ განსაკუთრებულ მეტაფორებად მივიჩნევთ, ყველაფერი, რაც გვესმის იმ საინფორმაციო სივრცეში, სადაც ვართ, უნებურად შემოდის ჩვენს ლექსიკონში. მაგრამ სინამდვილეში კი არ არსებობს პოეტური ხერხი ან პოეტური ფიგურა, რომელიც უკვე ჰომეროსს არ ჰქონოდა გამოყენებული“.

(http://web.archive.org/web/20080430114738/http://www.vor.ru/culture/cultarch181_koi.html).

აღნიშნულ პიესაში ა. პუშკინის „მოცარტი და სალიერის“ თემის გადათამაშება ხდება. ცნობილი მოტივის მიხედვით მოცარტი მოწამლა სალიერს. ქორქიას პიესაში კი ბერია საკუთარ ავადმყოფობაზე ჩივის და ფლაკონით წამალს სვამს. და თავადვე ამბობს, რომ ყველას საწამლავი ჰგონიაო, „Думают, что яд. Что лично отправляю в мир иной“ (Коркия, 1989: 13).

ბულგაკოვისეული ერთგვარი ალუზია იგრძნობა ბერიას მონოლოგში, სადაც ის თავის მიერ შედგენილ ოქმებზე საუბრობს:

„Но факты умирают. Факты тленны.

Зато нетленны акты... Вот они.

Как трепетно шуршат материалы

В заветной папке!.. Вот они, печати!

Вот подписи!.. Великий документ,

что без тебя бы делал я, ничтожный!..

Пока бумага есть – в стране порядок.

Бумажный голод – это кризис власти. (Коркия, 1989: 13).

...Не помню где, но где-то я читал,

что рукописи не горят. (Коркия, 1989: 14).

ცნობილი ბულგაკოვისეული ფრაზა რომანიდან „ოსტატი და მარგარიტა“ „Рукописи не горят“ ქორქიას ტექსტში გარკვეულ გადაზრებას განიცდის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბულგაკოვის ზოგადსაკაცობრიო შინაარსის ფილოსოფიური გამონათქვამი ქორქიას პიესაში კონკრეტულ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. ქორქიასთან ხელნაწერის ადგილს

იქერს აქტები, ოქმები, რომლებიც გათვითცნობიერებული მკითხველის გონებაში საბჭოური პერიოდის მძიმე დრამატულ ფაქტებსა და მოვლენებს, ადამიანთა ტრაგიკულ ბედს უკავშირდება (კახაბერიძე, 2023: 196).

ავტორი პიესაში ახდენს იმ იდეოლოგიური ფიგურების დეკონსტრუქციასა და განქიქებას, რომლებიც მეოცე საუკუნის საბჭოთა ადამიანების მასობრივ შეგნებაში ხელშეუხებელ და ტაბუირებულ თემას წარმოადგენდა. დეკონსტრუქცია კი, როგორც ცნობილია, პოსტმოდერნიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. დეკონსტრუქციის მიზანია ერთიანობის დაშლის შედეგად დავინახოთ მთლიანობის არსი, ვინაიდან ტექსტის უკეთ შესაცნობად საჭიროა მისი გაშიფვრა, ანალიზი.

საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ქორქიას პიესა „ჰამლეტ.ru“, რომელშიც შექსპირის კლასიკური სიუჟეტი ვირტუალურ ტრანსფორმაციას განიცდის და თანამედროვე ციფრულ-ტექნოლოგიურ კონტექსტში წარმოგვიდგება,

მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში მრავლად მოიპოვება ტექსტები, რომლებიც თავიანთი აზრობრივი და მხატვრულ-შინაარსობრივი ფასეულობიდან გამომდინარე ახალი ნაწარმოებების ინსპირაციად შეიძლება იქცეს. ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებად უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს შექსპირის უკვდავი ტრაგედია „ჰამლეტი“, რომელიც ბევრჯერ გამხდარა მხატვრული შთაგონების წყარო. შესაბამისად, ლიტერატურულ სივრცეში გაჩნდა „ჰამლეტის ტექსტის“ ცნება, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმ ნაწარმოებების ერთობლიობა, რომელშიც არის შექსპირის ტრაგედიიდან ნასესხები სიუჟეტები, მოტივები, ციტატები, რემინისცენციები. სხვათა შორის, შექსპირის პიესა „ჰამლეტი“ ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა მსოფლიო კულტურაში. რუსულ ლიტერატურაში კი შექსპირის შემოქმედების რეცეფცია ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. საფრანგეთისა და გერმანიისაგან განსხვავებით, სადაც უფრო ძლიერად იგრძნობოდა კავშირი ინგლისურ ლიტერატურასთან, შექსპირის ნაწარმოებები რუსულ ლიტერატურულ არეალში საკმაოდ გვიან, მხოლოდ მეტერამეტე საუკუნეში გაჩნდა.

დროთა განმავლობაში შექსპირის ტექსტები და აგრეთვე თავად ჰამლეტის პერსონაჟი რუსი მწერლების ნაწარმოებების შემადგენელ ნაწილად და შთაგონების წყაროდ იქცა. შექსპირის გავლენამ გარკვეულწილად განსაზღვრა რუსი ლიტერატორების ნაწარმოებთა თემატიკა, სიუჟეტი და სხვა მხატვრული ხერხები. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ი. ტურგენევის „შიგროვსკის მაზრის ჰამლეტი“ („Гамлет Шигровского уезда“) და „ჰამლეტი და დონ კიხოტი“ („Гамлет и Дон Кихот“), ნ. ლესკოვის „მცენსკის მაზრელი ლედი მავბეტი“, ა. ჩეხოვის „მოსკოვში“ („В Москве“), ა. ბლოკის ლექსი „მე ვარ ჰამლეტი. ცივდება სისხლი“ („Я — Гамлет. Холодеет кровь“), ა. ახმატოვას „Читая Гамлета“ და ა. შ. შექსპირის პიესამ განსაკუთრებით ღრმა კვალი დატოვა ი. ტურგენევის შემოქმედებაში, მწერალმა თავის საჯარო სიტყვაში „ჰამლეტი და დონ კიხოტი“ ჰამლეტიზმის თავისებური, ასე ვთქვათ, რუსული ინტერპრეტაცია წარმოგვიდგინა და ჰამლეტი რუსული ლიტერატურის „ზედმეტ“ ადამიანთა რიგში დააყენა.

შექსპირის თემა ასეთივე პოპულარული აღმოჩნდა მეოცე საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაშიც. თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურების ინტერტექსტუალობის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ სწორედ ძველი, ტრადიციული თემების ახლებურად გააზრება, ახალი შინაარსითა და ფუნქციებით დატვირთვა. რუსულ პოსტმოდერნისტულ დრამატურგიაში საკმაოდ პოპულარული გახდა შექსპირის ტრაგედიის სიუჟეტი პრინც ჰამლეტზე. შექსპირის ტრაგედიის შექმნიდან ოთხასი წლისთავზე, 2001 წელს ვიქტორ ქორქიამ გამოაქვეყნა შექსპირის ტრაგედიის რიმეიკი - პიესა „ჰამლეტ.ru“, რომელიც სავსებით მართებულად შეიძლება ჩავთვალოთ შექსპირისეული ტექსტის გაგრძელებად.

ვიქტორ ქორქიას პიესა „ჰამლეტ.ru“ შექსპირის ტრაგედიის თანამედროვე, პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაციაა, სადაც ხდება კლასიკური ტექსტის ახალ კულტურულ კონტექსტში გადააზრება. ავტორი ცდილობს შექსპირის ტრაგედიის დეკონსტრუქციას, პერსონაჟები და მათი დრამატული მონოლოგები თანდათან კარგავენ ტრაგიზმს და იძენენ თამაშის, ციტატურობის, ეჭვის ნიშანს. შექსპირის პიესა ქორქიასათვის წარმოადგენს ერთგვარ „მასალას“, რომელიც შეიძლება დაიშალოს და ახლებურად აიწყოს და ფუნქციონირება გააგრძელოს ახალ რეალობაში. პიესის სათაური „ჰამლეტ.ru“ მიანიშნებს ვირტუალურ ტექნოლოგიურ სამყაროზე, სადაც კლასიკური პერსონაჟი ციფრულ ნიშნად იქცევა.

ნაწარმოებში მთავარ ყურადღებას შექსპირის ტრაგედიის ცენტრალური პერსონაჟის სახე იქცევს. ქორქიას პიესის მოქმედება თეატრის სცენაზე ვითარდება, მისი გმირები ვირტუალური თეატრის მსახიობები არიან, რომლებიც მაყურებლის წინაშე თამაშობენ ვ. შექსპირის ტრაგედიას „ჰამლეტი, დანიის პრინცი“. პიესის, ასე ვთქვათ, არაშექსპირული პერსონაჟია გარდაცვლილი შექსპირისმცოდნე ა. ანიკსტი, რომელიც ავტორს სჭირდება პიესაში მიმდინარე მოვლენების ობიექტივიზაციისათვის.

ქორქიას პიესა „ხასიათდება პაროდული პოსტმოდერნიზმით, რომელიც სრულ აბსურდამდეა მისული, მით უმეტეს როცა, როგორც წესი, ამგვარი დეკონსტრუქციის მასალას ორიგინალის ტექსტი წარმოადგენს. პიესაში ხდება პოსტმოდერნიზმის მრავალი კლიშეს იმიტირება. ესენია - ინტერტექსტუალობა, მეტაფორების აქტუალიზაცია და დეჰეროიზაცია. ქორქიას პიესაში ახალმა ჰამლეტმა დაკარგა თავისი მთავარი როლი და ადგილი დაუთმო განსვენებულ მეცნიერს ალექსანდრ ანიკსტს, რომელიც მის ალტერ ეგოდ იქცა. „ჰამლეტ.ru“-ში დრამატურგი გადაწერს არა მთლიან ტრაგედიას, არამედ მის სავარაუდო გაგრძელებას... პიესა იწყება ჰამლეტისა და ანიკსტის (ანუ შექსპირის მიერ შექმნილი გამოგონილი სამყაროს მთავარი გმირისა და ცნობილი მეცნიერის) შეხვედრით, რომელიც ლოგიკურად სავსებით შეუძლებელია“ (Орфини, 2022: 116).

ი. სკოროპანოვა თვლის, რომ ვიქტორ ქორქიას დრამებს საფუძვლად უდევს „ჰიბრიდულ-ციტატური“ პრინციპი (Скоропанова, 2007: 399). ხოლო მკვლევარების ვ.გოლოვინჩერისა და ნ. პროხოჩენკოს აზრით, ეს განსაზღვრება უპირველესად პოსტმოდერნიზმს უკავშირდება და ამიტომაც მიზანშეწონილი იქნება ამ განსაზღვრების დაზუსტება კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით: „თანამედროვე დრამაში, კონკრეტულად კი პიესა „ჰამლეტ.ru“-ში მნიშვნელოვნად და საინტერესოდ მიგვაჩნია როლური პრინციპი. როლები, ნიღბები, თამაში, წარმოდგენა - ეს ის მოვლენებია, რომლებიც განსაზღვრავენ დრამისა და თეატრის ბუნებას. ქორქიას აღნიშნული პიესა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ავტორის დიდი თამაში მკითხველსა თუ მაყურებელთან, რომელიც ემყარება ნიღბის მხატვრული პოტენციალის გამოყენებას“ (Головчинер & Прохоренко, 2012: 304). ასე რომ, ინტერტექსტუალობა არა მარტო წარმოიქმნება დიდი კლასიკოსების ნაწარმოებებთან განსაკუთრებულ დიალოგში, არამედ ამავე დროს განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს იმავე ნაწარმოებების კრეატიულ რეცეცხვას.

„ჰამლეტ.ru“-ში ხდება სიუჟეტებისა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქცია და ეს იწვევს არა მხოლოდ პერსონაჟების ცვლილებას, არამედ ციტირებულ ნაწარმოებებსაც ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ.

აღნიშნულ პიესაში ხდება ჰამლეტის გადააზრება-გარდაქმნა მთავარი გმირიდან მეორეხარისხოვან პერსონაჟად და იმ პერსონაჟის ალტერ ეგოდ, რომელიც ახლა წარმოადგენს მთავარ გმირს, ანუ განსვენებული შექსპირთმცოდნე ალექსანდრე ანიკსტისა.

მკვლევარი ორფინი აანალიზებს ქორქიას პიესების ფანტასმაგორიული ენის თავისებურებებს და შენიშნავს, რომ რეპლიკის შექმნის ან აგების ამგვარი მექანიზმის ნიმუში ჩანს სცენაში, სადაც ჰამლეტი მიმართავს პოლონიუსს რეპლიკით, რომელშიც

ყოველი სიტყვა იწვევს სხვა სიტყვას: “Осёл — это козёл с ушами. Козёл — это осёл с бородой. Борода — квинтэссенция козла. Уши — квинтэссенция осла” (Коркия: <https://viktor-korkia.narod.ru/drama/hamlet/hamlet1.htm>).

რეპლიკის ასეთივე ნიმუში ჩანს სცენაშიც, სადაც ლაერტი თხოვს მამას აუხსნას, რა არის ტრაგედია, ხოლო ჰამლეტისა და ანიკსტის პასუხები მთლიანად კალამბურებისაგან შედგება: “АНИКСТ. Трагедия — дословно песнь козлов, она же — песнь козлиная. Трагос — по-гречески козел, а одэ — песнь / ГАМЛЕТ. Если вы — козёл, и у вас есть песнь — это трагедия” (Коркия: <http://viktor-korkia.narod.ru/drama/hamlet/hamlet1.htm>). ამგვარად, ქორეიას პიესის დიალოგების სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად წააგავს ინტერნეტის ძიების სისტემებს. (Орфини, 2022: 116).

შექსპირისა და ქორეიას ტექსტების შედარება ცხადყოფს იმ სამუშაო პრინციპს, რომელსაც ქორეია მიმართავს: ის სიუჟეტიდან ამოღებულ ფრაგმენტებს, კონკრეტულ სიუჟეტთან „მიბმულ“ სტრიქონებს გადაამუშავებს და ახლებურად აწყობს. ამგვარი მიდგომა ტრაგედიის კომპოზიციურ ბუნებას ასახავს: ავტორი ოსტატურად „ჭრის“ და „კერავს“ შექსპირის ციტატებს სხვადასხვა ტექსტიდან, ქმნის ახალ მელოდიურობასა და აზრობრივ კონსტრუქციას.

ამგვარად, ვ. ქორეიას პიესა „ჰამლეტ.ru“ წარმოგვიდგება არა შექსპირის ტრაგედიის უბრალო გადამუშავება, არამედ კულტურული მემკვიდრეობის პოსტმოდერნისტული დეკონსტრუქცია, სადაც ძველი ტექსტი ახალი ეპოქის პრობლემებსა და ცნობიერებას ერწყმის. ნაწარმოებში ხაზგასმულია იდეა, რომ კლასიკური კულტურა თანამედროვე სამყაროში მხოლოდ ფრაგმენტებით, ციტატებით და თამაშით შეიძლება გაცოცხლდეს. პიესაში ჭარბობს სხვადასხვა ნაწილების (ორიგინალური ტექსტისა და ციტატების) კომბინატორული თამაში და აწყობის მექანიზმის დახმარებით ჩნდება ჰიბრიდული ტექსტი, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ლიტერატურული ტრადიცია და ახალი ტექსტის ორიგინალობა (Орфини, 2022: 118).

ვ. ქორეიას პოსტმოდერნისტული სტრატეგიების განსახილველად საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერ მასალას წარმოადგენს მისი პოეზია, რომელიც თემატური მრავალფეროვნებითა და ღრმა ანალიზით გამოირჩევა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ჭრილში გასაანალიზებლად შევარჩიეთ ვ. ქორეიას ლექსი „Предыстория“.

Предыстории - как не бывало!
Люди добрые, мне повезло.
Замурованы окна подвала -
и прощай социальное зло!
Кончен бал! Перерыв на обед.
За несчастные три пятилетки
накопили немного монет -
и в пампасы из лестничной клетки!.

И осталось - всего ничего:
лейтенанта запаса выносят,
снег летит на седины его,
кто-то слово над ним произносит,
краем уха я слушаю речь,
и дымит снеготаялки печь...

Вижу издали в общих чертах

всё, чем был исторически связан,
вижу разом и двор, и чердак -
мир, которому жизнью обязан.
Я ушёл из него, и замнём,
я ушёл, я успел, я не умер,
ничего я не знаю о нём,
потому что в нём жил, а не думал.
Дым отечества, общий привет!
Неужели я так фраернулся -
проморгал перерыв на обед,
а с обеда никто не вернулся...

(<https://www.askbooka.ru/love-poetry/viktor-korkiya/predystoriya>)

ვ. ქორქიას აღნიშნული ლექსი მკვეთრად გამოხატული ინტერტექსტუალობით ხასიათდება და იგი ერთდროულად რამდენიმე სიბრტყეში შეიძლება დავძებნოთ. ერთ-ერთი ალბათ ყველაზე ღიად, აშკარად გამოხატული ამგვარი სიბრტყე საბჭოთა კულტურულ-ისტორიული კოდი.

«За несчастные три пятилетки / накопили немного монет» – აღნიშნული სიტყვები პირდაპირი მინიშნებაა საბჭოთა ხუთწლეულების სისტემაზე. აშკარად იგრძნობა სოციალიზმის „დიადი მიღწევების“ ირონიული აღქმა: სამი ხუთწლეულის განმავლობაში მხოლოდ „ცოტაოდენი ფულის“ დაგროვების შესაძლებლობა. ქორქია იყენებს ოფიციალური იდეოლოგიის ენას, თუმცა ირონიულ კონტექსტში: «несчастные» („უბედური“) და «немного монет» („ცოტაოდენი მონეტა“) მიანიშნებს გრანდიოზული დაპირებების კრახსა და უაზრობაზე.

ფრაზა «и прощай социальное зло!» წარმოგვიდგება როგორც საბჭოთა ლოზუნგური ენის ალუზია (ბრძოლა „სოციალურ ბოროტებასთან“ ხომ საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა). ავტორი ამ საბჭოურ კლიშეს კომიკურ შრეში აქცევს. ლექსში სიტყვები „социальное зло“ და „нал“ გადმოგვცემენ ოფიციალური საბჭოური რიტორიკისა და პროპაგანდის მოტივებს, რომლებშიც იგრძნობა დაპირება „კაპიტალიზმის ბოროტების განადგურებისა“ და „ნათელი მომავლის“ დადგომის შესახებ. ლექსში ხდება ამ კლიშეების ირონიული გადააზრება.

ლექსში შესაძლებელია დაიძებნოს აგრეთვე ლიტერატურული რემინისცენციები რუსული კლასიკიდან.

ქორქიას ფრაზა – „Дым отечества, общий привет!“ – აშკარა ალუზიაა. „Дым отечества“ წარმოადგენს მინიშნებას ჩაცკის ფრაზაზე ა. გრიბოედოვის კომედიაში „ვაი ჭკუისაგან“ („И дым Отечества нам сладок и приятен!“). მაგრამ თუ გრიბოედოვთან ის მოიაზრება ნოსტალგიურ-პატრიოტულ კონტექსტში, ქორქიასთან გამონათქვამი გადაიქცევა ირონიულ, თითქმის ყოფით „მოკითხვად“. აქ ფრაზა კარგავს სიდიადეს და ყოველდღიურობის, თითქმის აბსურდის ნიშნად იქცევა: „Дым“ ქორქიასთან ასოცირდება „თოვლის სადნობ ღუმელთან“ და არა სამშობლოს ხატთან. ასე ხორციელდება პასტიმი და კლასიკის ირონიული გააზრება.

«Перерыв на обед» / «а с обеда никто не вернулся...» - ყოფითი დეტალი იქცევა სიცოცხლის დასასრულის მეტაფორად და გვაგონებს კაფკასა და კამიუს სამყაროს, სადაც ყოველდღიურობა აბსურდისა და სიკვდილის ნიშნად იქცევა. თუმცადა ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ მინიშნება კეთდება მხოლოდ ჟანრულ-სტილისტურ ინტერტექსტუალობასა და ეგზისტენციალურ ტრადიციაზე.

ამავდროულად, შესაძლებელია ეს იყოს საბჭოთა დაწესებულებებში გავრცელებული კლიშეს ირონიული გააზრებაც, განსაკუთრებით საკმაოდ ემფატური «Кончен бал!»-ის

შემდეგ ერთობ პროზაული კლიშე „Перерыв на обед“ და შესაბამისად, პათეტიკური და ყოფითი ტონების მკვეთრი ცვლა მეტ ემოციურობას სძენს ლექსს და ამავდროულად დამატებითი ინტერტექსტუალობის კიდევ ერთ ფონად შეიძლება მივიჩნიოთ. ტონალობის მკვეთრი და პარადოქსული ცვლა და სტილების არევა (Кончен бал! Перерыв на обед) განსაკუთრებულ ეფექტს ქმნის. სრულიად პოლარული ეფექტის და ისტორიის მქონე ფრაზების შერევით ავტორი აღწევს კომიკურობის განცდასაც და ამასთან ერთად გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, რაც გამოიხატება სინამდვილის ირონიზირებაში. ეს კი მწერლის ერთგვარ პროტესტადაც შეიძლება ჩავთვალოთ.

ამრიგად, ვ. ქორქიას აღნიშნულ ლექსში შეიძლება ვილაპარაკოთ მრავალშრიანი ინტერტექსტუალური კოლაჟის შესახებ, რომელშიც ერთმანეთშია გადახლართული საბჭოთა რიტორიკა („ხუთწლედები“, „სოციალური ბოროტება“), კლასიკური ციტატა („дым отечества“ – პუშკინის ირონიული რემინისცენცია) და ეგზისტენციალური მოტივები („перерыв на обед“ – როგორც სიცოცხლის/სიკვდილის მეტაფორა).

სწორედ ეს გახლავთ პოსტმოდერნისტული სტრატეგია - სხვადასხვა ტექსტებისა და კულტურული კოდების ერთსა და იმავე პოეტურ ველში გადაკვეთა.

კიდევ ერთი ლექსი გვინდა გავანალიზოთ, რომელიც ვ. ქორქიას მხატვრული სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

В. Б

...Вдох на выдохе,

выдох на вздохе.

Между ними проходят эпохи.

Между ними война мировая.

А потом - тишина гробовая.

А потом - начинается снова.

А вначале, как водится, слово.

В этом слове вся тайна сокрыта

В этой тайне собака зарыта.

(<http://lib.ru/POEZIQ/KORKIA/corkiya.txt>)

1986 წელს დაწერილ ვ. ქორქიას ერთობ სახასიათო ნაწარმოებში ჩანს ისტორიის გააზრების მცდელობა, რომელიც ვითარდება სიტყვათა თამაშის საფუძველზე.

„...Вдох на выдохе, выдох на вздохе / Между ними проходят эпохи“. ადამიანის სუნთქვითი მოძრაობები ლექსში გარკვეულ დამატებით აზრს იძენენ: Вдох (ჩასუნთქვა) როგორც მოძრაობის საწყისი, მოვლენა; выдох (ამოსუნთქვა) როგორც რაღაცის დასასრული ან სულის მოთქმა (ეს უკანასკნელი მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტიურდება პოლიტიკური კატაკლიზმების კონტექსტში); Вздох (ოხვრა) როგორც ემოციური შეფასება მოვლენისა. სიტყვათა ძეგლი - вдох-выдох-вздох - შეიძლება აღქმული იქნას როგორც ავტორის მისწრაფება სიტყვათა თამაშის ფონზე გვაჩვენოს ქვეყნის, ხალხის ისტორიული ბედის მწვავე და დრამატული პერიპეტეიები.

ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური პროცესი ვ. ქორქიამ ცხოვრებისა და სიკვდილის ერთგვარ მეტაფორად აქცია. ლექსის მოკლე, პარალელური ფრაზები („Вдох на выдохе / выдох на вздохе“) ქმნის განსაკუთრებულ რიტმულობას, სადაც ცხოვრება აღიქმება როგორც მუდმივი ციკლი, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის მონაცვლეობა.

„Между ними проходят эпохи“ – ერთი სუნთქვა შეიძლება მოიცავდეს მთელ ეპოქებს, ისტორიის მასშტაბებს. აქ ჩანს აბსურდის განცდა: პირადი და გლობალური დროები ერთმანეთთან ირონიულადაა გადამხლართული.

ინტერტექსტუალობის საინტერესო ნიმუშს ვაწყდებით შემდეგ სტრიქონში - „А вначале, как водится, слово.“ – ეს ციტატა პირდაპირ ეხმიანება ბიბლიურ ფრაზას („В начале

было Слово“ / „დასაბამიდან იყო სიტყვა“ - იოანეს სახარება). ბიბლიური ფრაზა ტექსტში ერთგვარი პათეტიკურობისა და მასშტაბურობის განცდას ქმნის. თუმცაღა ამ ამაღლებულობას სრულიად აქარწყლებს სასაუბრო სტილის ფრაზა „В этой тайне собака зарыта“. ეს კიდეც ერთხელ მიუთითებს ვ. კორქიას პოსტმოდერნისტული ხელწერის თავისებურებებზე.

ვიქტორ კორქიას ლექსი („Вдох на выдохе, / выдох на вздохе...“) წარმოადგენს პოსტმოდერნისტული დისკურსის ნიმუშს, სადაც ფიქსირდება ფილოსოფიური რეფლექსია ყოფიერებაზე, ინტერტექსტუალური დიალოგი კლასიკურ რელიგიურ და ფოლკლორულ ტექსტებთან და ირონიული დეკონსტრუქციის სტრატეგია.

დასკვნა. როგორც ვხედავთ, ვიქტორ კორქიას პოეტური და დრამატურგიული ტექსტები ერთიან ესთეტიკურ პრინციპს ეფუძნება: ისინი წარმოადგენენ პოსტმოდერნისტული პრინციპებისა და ინდივიდუალური ავტორისეული ხერხებისა და სტრატეგიების საინტერესო სინთეზს. განსხვავება მხოლოდ გამოხატვის საშუალებებსა და ჟანრულ სპეციფიკაში ვლინდება, რაც კიდეც უფრო თვალსაჩინოს ხდის მისი შემოქმედების სტილისტურ ერთიანობას. ვიქტორ კორქიას შემოქმედებაში ვლინდება პოსტმოდერნისტული პოეტიკის უნივერსალური პრინციპები (ინტერტექსტუალობა, კარნავალურობა, ირონია, მეტატექსტუალობა), რომლებიც საინტერესოდ და ამავე დროს ორგანულად არის შერწყმული კონკრეტულ-ისტორიულ სპეციფიკასთან. ამასთან ერთად ავტორი აღნიშნულ პრინციპებს ოსტატურად მიუსადაგებს ხოლმე საკუთარ მხატვრულ სტილს, რის შედეგადაც მწერლის ტექსტები ერთგვარ ექსპერიმენტულ სივრცედ წარმოგვიდგება. ყოველივე ეს კი ვიქტორ კორქიას შემოქმედებას უფრო ღრმასა და ღირებულებას ხდის.

გამოყენებული ლიტერატურა

- კახაბერიძე, ქ. (2023). ვიქტორ კორქიას პიესის „შავი ადამიანი, ანუ მე, საწყალი სოსო ჯულაშვილი“ შინაარსობრივ-სტილისტური თავისებურებანი. *ინტერდისციპლინარული კვლევების ახალი ჰორიზონტები*. I. გვ. 194-199. ბათუმი.
- Головчинер, В., & Прохоренко, Н. (2012). Маски в пьесе Виктора Коркия «Гамлет.ru». *Polilog. Studia Neofilologica*. №2. С. 303-312.
<https://polilog.pl/index.php/polilog/article/view/273/262>
- Давыдова, Т., & Сушилина, И. (2023). *История русской литературы XX века. От символизма до постмодернизма*. Москва: Флинта.
- Коркия, В. (1989). *Чёрный человек, или Я бедный Сосо Джугашвили: паратрагедия*. Москва: Московский рабочий.
- Коркия, В. (2001). *Гамлет.ru (пьеса)*.
<https://viktor-korkia.narod.ru/drama/hamlet/hamlet0.htm>
- Коркия, В., *Вдох на выдохе...* <https://lib.ru/POEZIQ/KORKIA/corkiya.txt>
- Коркия, В., *Предыстория*. <https://www.askbooka.ru/love-poetry/viktor-korkiya/predystoriya>
- Кристева, Ю. (1995). Бахтин, слово, диалог и роман. *Вестн. МГУ. Сер. 9. Филология*. № 1. С. 97-124.
- Орфини, А. (2022). Ремейк «Гамлет.ru» Виктора Коркия и новый фрагмент гамлетовского текста. *Ученые записки Новгородского государственного университета*. №1 (40). С. 115-119.
- Скоропанова, И. (2007). *Русская постмодернистская литература*. Москва: Флинта; Наука.
- Черняк, М. (2010). *Современная русская литература*. Москва: Форум-Сага.

Эпштейн, М. (2019). *Постмодернизм в России*. СПб.: Азбука, Азбука-Аттикус.
Вечные образы в современной драматургии. Беседа с поэтом и драматургом Виктором Коркия
http://web.archive.org/web/20080430114738/http://www.vor.ru/culture/cultarch181_koi.html

REFERENCES

- k'akhaberidze, k. (2023). vikt'or korkias p'iesis „shavi adamiani, anu me, sats'qali soso jughashvili“ shinaarsobriv-st'ilist'uri taviseburebani [The content-stylistic peculiarities of Viktor Korkia's play “The Black Man, That Is Me, Unfortunate Soso Dzhugashvili”]. *int'erdistip'linaruli k'vlevebis akhali horizont'ebi [New Horizons of Interdisciplinary Research]*. I. pp. 194-199. Batumi.
- Golovchiner, V., & Prohorenko, N. (2012). Maski v p'ese Viktora Korkija «Gamlet.ru» [Masks in Viktor Korkia's Play "Hamlet.ru"]. *Polilog. Studia Neofilologiczne [Polilog. Studia Neofilologiczne]*. №2. pp. 303-312.
<https://polilog.pl/index.php/polilog/article/view/273/262>
- Davydova, T., & Sushilina, I. (2023). *Istorija russkoj literatury XX veka. Ot simbolizma do postmodernizma [History of Russian Literature of the Twentieth Century. From Symbolism to Postmodernism]*. Moscow: Flinta.
- Korkija, V. (1989). *Chjornyj chelovek, ili Ja bednyj Soso Dzhugashvili: paratragedija [The Black Man, That Is Me, Unfortunate Soso Dzhugashvili: A Paratragedy]*. Moscow: Moskovsky Rabochy.
- Korkija, V. (2001). *Gamlet.ru (p'esa) [Gamlet.ru. play]*.
<https://viktor-korkia.narod.ru/drama/hamlet/hamlet0.htm>
- Korkija, V., *Vdoh na vydohe... [Inhale on Exhale]* <https://lib.ru/POEZIQ/KORKIA/corkiya.txt>
- Korkija, V., *Predystorija [Prehistory]*. <https://www.askbooka.ru/love-poetry/viktor-korkiya/predystoriya>
- Kristeva, Ju. (1995). Bahtin, slovo, dialog i roman [Bakhtin: Word, Dialogue, and Novel]. *Vestn. MGU [Vestn. MSU]*. Series 9. Philology. № 1. S. 97-124.
- Orfini, A. (2022). Remejk «Gamlet.ru» Viktora Korkija i novyj fragment gamletovskogo teksta [A Remake of Viktor Korkia's "Hamlet.ru" and a New Fragment of Hamlet's Text]. *Uchenye zapiski Novgorodskogo gosudarstvennogo universiteta [Scientific Notes of Novgorod State University]*. №1 (40). pp. 115-119.
- Skoropanova, I. (2007). *Russkaja postmodernistskaja literatura [Russian postmodern literature]*. Moscow: Flint; Science .
- Chernjak, M. (2010). *Sovremennaja russkaja literatura [Contemporary Russian Literature]*. Moscow: Forum-Saga.
- Jepshtejn, M. (2019). *Postmodernizm v Rossii [Postmodernism in Russia]*. St. Petersburg: Azbuka, Azbuka-Atticus.
- Vechnye obrazy v sovremennoj dramaturgii [Eternal Images in Contemporary Drama]*. Beseda s pojetom i dramaturgom Viktorom Korkija [A Conversation with Poet and Playwright Viktor Korkia].
http://web.archive.org/web/20080430114738/http://www.vor.ru/culture/cultarch181_koi.html